ხელშეკრულება #162

ქ. თბილისი 29 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში "შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ნაცვლიშვილის სახით და მეორე მხრივ, ი/მ არჩილ კაპანაძის (შემდგომში "შემსრულებელი") სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შკოდა-ოქტავიას მოდელის სახ. #WWO-854 და სახ.#COC-272, ავტომობილებისათვის მინების დაფერვა-დამუქების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, CPV50100000.

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შკოდა-ოქტავიას მოდელის სახ. #WWO-854 და სახ.#COC-272, ავტომობილებისათვის მინების დაფერვა-დამუქების მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. ავტომობილის უკანა საქარე მინის დაფერვა-დამუქების მომსახურების ღირებულებაა 50 (ორმოცდაათი) ლარი, ხოლო გვერდით ერთი შუშის დაფერვა-დამუქების ღირებულებაა 25 (ოცდახუთი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **200 (ორიასი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მარალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის 6 ივლისის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ადგილია შემსრულებლის ფაქტიური მისამართი.

5.3. მომსახურების გაწევის პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების გაწევის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირები არიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი ცეზარ აფრასიძე უფროსი ინსპექტორი თენგიზ საცერაძე, ამავე განყოფილების ინსპექტორები კუკური ჯიბლაძე გოგა თოლორაია, მძღოლი გიორგი ბოკელავაძე და შტატგერეშე მოსამსახურე თორნიკე დარახველიძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

7.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდებისა, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერიდან, არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მინების დაფერვა-დამუქების მომსახურება შემსყიდველის კუთვნილ ავტოტრანსპორტს.

ბ) შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნაკლო.

გ) გააფრთხილოს დამკვეთი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ მომსახურების ხარისხს.

დ) შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით..

9.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,4 (ნოლი მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

9.3. შემსრულებელის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებელისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

13.4. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის (მომსახურეობის) მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი ცეზარ აფრასიძე და უფროსი ინსპექტორი თენგიზ საცერაძე.
15.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა/გამოსწორება.
15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები
16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. 83ა ს/კ 204404723 საქართველოას ეროვნული ბანკი ბ/კ 220101107 ა/ა GE24NB0330100200165022 თავმჯდომარის მოადგილე /გიორგი ნაცვლიშვილი/	ი.მ „არჩილ კაპანაძე" ქ. თბილისი დლდანის მე-3 მ/რ კორპ. 15 ბინა 59, პირადი #01001030871 ს/ს „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE46BG0000000182553400 Tel: 597935585 ი.მ /არჩილ კაპანაძე/